

# ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის

## სამოქმედო გეგმა

(სამუშაო დოკუმენტი)

2018-2022



ხარაგაულის რ-ნი

2017წ

### შესავალი

დედამიწის მოსახლეობის ზრდასა და მათი ასევე მზარდი მოთხოვნილებების პარალელურად გამუდმებით იზრდება პროდუქციისა და მომსახურების წარმოების, ასევე მათი მოხმარების რაოდენობა. შედეგად ჩვენს პლანეტაზე წარმოიქმნა ნარჩენების უზარმაზარი რაოდენობა, რამაც მრავალ ქვეყანაში „ნარჩენების კრიზისი“ გამოიწვია. დღეს მსოფლიოში ერთი ქვეყანაც კი არ არსებობს, ნარჩენებთან დაკავშირებული პრობლემები რომ არ ჰქონდეს. ზოგიერთი მათგანი ყველა ქვეყნისათვის საერთოა, ზოგი კი – განსაკუთრებული და მხოლოდ კონკრეტული ტერიტორიისთვის დამახასიათებელი.

მყარი მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება, დღევანდელ დღეს, საქართველოში ნარჩენების მართვის ერთადერთი ფორმაა. მნიშვნელოვანია ნარჩენების მართვის სისტემის ეფექტიანი მუშაობა, რადგან არსებული სისტემის ხარვეზებით ფუნქციონირება პირდაპირ აისახება გარემოსდაცვით საკითხებსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ნარჩენების მართვა საერთაშორისო სტანდარტებით კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს იძენს, რადგან იგი ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების მნიშვნელოვანი პუნქტია.

## ნარჩენების მართვის კოდექსი - მუნიციპალური ნარჩენების მართვის პროცესში ჩართული ძირითადი მხარეები

### მოსახლეობა / კომპანიები

- ნარჩენების წარმოქმნა



### შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო


- სანიტარულ-ჰიგიენური წესების, ნორმებისა და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების შემუშავება და დამტკიცება

### გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

- სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება

### ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები

- შეგროვება
- ტრანსპორტირება



### რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო / მყარი ნარჩენების მართვის კომპანია, , , " e"

- ნაგავსაყრელების მართვა



მრავალი წელია, მუნიციპალური ნარჩენების მართვა საქართველოში პრობლემას წარმოადგენს როგორც ნარჩენებთან დაკავშირებული მომსახურეობის არასაკმარისი ხარისხისა და დაფარვის, ისე ზემოაღნიშნულის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თვალსაზრისით. შეზღუდული შესაძლებლობებისა და ფინანსური რესურსების მქონე მუნიციპალიტეტები ვერ ახერხებენ, ნარჩენების მართვის ეფექტიანი მომსახურებები შესთავაზონ მოსახლეობას. იმ პირობებში, როდესაც დიდ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურეობები გაუმჯობესებას საჭიროებს, ბევრი შედარებით პატარა ქალაქი და სოფელი ჯერ კიდევ მოკლებულია მუნიციპალური ნარჩენების ეფექტიანი მართვის სისტემას. არსებული ნაგავსაყრელების ოპტიმიზაცია გაუმჯობესება უკვე დაწყებულია სახელმწიფოებრივ დონეზე. მაგრამ რეგიონებში ახალი სანიტარიული ნაგავსაყრელებისა და გადამტვირთავი სადგურების მშენებლობა და ექსპლუატაცია, ისევე როგორც იმ ძველი ნაგავსაყრელების დახურვა რეაბილიტაცია, რომელთა

საჭიროებაც აღარ იარსებებს ახალი რეგიონალური ნაგავსაყრელების მოწყობის შემდეგ, მნიშვნელოვან ინვესტიციებს მოითხოვს.

საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ მუნიციპალიტეტები (რომლებიც ამ ეტაპზე პასუხისმგებელი არიან და მომავალშიც, სავარაუდოდ, პასუხისმგებლები დარჩებიან მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებაზე) უნდა შეიმუშაონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის ყოვლისმომცველი გეგმები, რომლებიც გამიზნული უნდა იყოს მუნიციპალიტეტების ფუნქციების გაუმჯობესებაზე ნარჩენების მართვის სფეროში.

ახალი კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ მიგვიყვანს ნარჩენების მართვის ახალ ინიციატივებამდე, რომელთა მიზანი იქნება:

1. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ფორმალური სერვისების ოპტიმიზაცია და გაფართოება.

2. ახალი ნაგავსაყრელების დაპროექტება და მშენებლობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

3. ნარჩენების აღდგენის დონის მნიშვნელოვანი ამაღლება რეციკლირებისა და კომპოსტირების ფორმალური მუნიციპალური პროგრამების მეშვეობით.

აღნიშნული გაუმჯობესების პროცესის მიზნის მხარდასაჭერად საქართველოში კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ განსაზღვრავს, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა შეიმუშაონ გეგმები, რომლებიც მოიცავენ 5 წლიან პერიოდს და უნდა შეესაბამებოდეს ამჟამად შემუშავების პროცესში მყოფ ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას.

წინამდებარე გეგმა მომზადებულია საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მოთხოვნების შესაბამისად და მასში წარმოდგენილი ინფორმაცია ასახავს

2017 წლისათვის ხარაგაული მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობას, გამოწვევებსა და შესაძლებლობებს.

## ნაწილი I. დაგეგმვის საფუძველი.

საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ რომელიც მიიღეს 2015 წლის იანვარში, რომლის მიხედვით თითოეულმა მუნიციპალიტეტმა უნდა მიიღოს საკუთარ ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების 5-წლიანი გეგმა. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა შესაძლოა, შემუშავდეს მოსაზღვრე მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივად. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 5- წლიან გეგმაში სამომავლოდ განვიხილავთ თანამშრომლობას ზესტაფონის (რომელიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ესაზღვრება დასავლეთის მხრიდან) და ხაშურის მუნიციპალიტეტთან (აღმოსავლეთის მხრიდან).

ნარჩენების მართვის კოდექსი, მუხლი 13 (4): მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს:

- მოსახლეობისგან ნარჩენების შეგროვების არსებული სისტემის შესახებ ინფორმაციას;
- შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული არასახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ მონაცემებს;
- მოსახლეობისგან შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული სახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ მონაცემებს;
- ნარჩენების დამუშავების საწარმოების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას;
- მუნიციპალური ნარჩენების, მათ შორის, ბიოდეგრადირებადი ნარჩენებისა და შეფუთვის ნარჩენების, სეპარირებული შეგროვებისა და აღდგენის სისტემის დანერგვისათვის დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას;
- ნარჩენების დამუშავების ახალი ობიექტების მშენებლობის გეგმებს;

- ნარჩენების მართვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამებს;
- ნარჩენების მართვის სფეროში სხვა მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მიზნით არსებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას;
- გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების გზებსა და ვადებს, პასუხისმგებელ პირებს, **სავარაუდო ხარჯებს და დაფინანსების წყაროებს.**

განმარტების თანახმად, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა არის დოკუმენტი ან/და მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული ჩარჩო, რომელიც ადგენს წესს, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის განახორციელებს ნარჩენების მართვის ვალდებულებებს. ნარჩენების ეფექტიანი მართვის გეგმის შემუშავების პროცესი მოიცავს ნარჩენების მართვის ფუნქციების ყველა ასპექტს, დაწყებული პოლიტიკის შემუშავებიდან და ინსტიტუციური განვითარებიდან, დამთავრებული ახალი ან განახლებული პროცესებისა და ობიექტების ტექნიკური პროექტების შექმნითა და განხორციელებით.

### 1.1 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიზანი.

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში ნარჩენების მართვის არსებული სიტუაცია მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს, რაც, სავარაუდოდ, დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, რათა შესრულდეს საქართველოს “ნარჩენების მართვის კოდექსით” გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც ითვალისწინებენ საქართველოში ნარჩენების მართვის მოქმედი სტანდარტების შესაბამისობას ევროკავშირის სტანდარტებთან. საქართველოში არსებული კონკრეტული პირობების საფუძველზე მოხდება ამ მიზნების მისაღწევად საჭირო ალტერნატიული მეთოდების საწყისი ტექნიკური და ეკონომიკური შესაძლებლობების დადგენა, კერძოდ, იმ მეთოდებისა, რომლებიც ნარჩენების გადამუშავებასა და გაუვნებლებას

უკავშირდებიან. საქართველოში, მუნიციპალიტეტები, პირველ რიგში, იმ საჭიროებების წინაშე დგანან, რომ უზრუნველყონ ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების მომსახურებების ეფექტიანობა. გადამუშავებისა და გაუვნებლების მოწინავე ტექნოლოგიები, მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში არსებული ტექნოლოგიების მსგავსი, საქართველოშიც შეიძლება დაინერგოს, მაგრამ, ქვეყნის შეზღუდული ეკონომიკური რესურსების გამო, ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მასშემდეგ, როდესაც მოხდება ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირებისა და განთავსების სერვისების ოპტიმიზაცია (ამჟამად ნაგავსაყრელის შესახებ ევროკავშირის მოქმედი დირექტივა კრძალავს ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური ნარჩენების (რეციკლირებადი, ორგანული და ა.შ.) მნიშვნელოვანი ნაწილის განთავსებას. ეს მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ფაქტორია ევროკავშირის ქვეყნებში არსებული ნარჩენების გადამუშავების მოწინავე სისტემების დანერგვისათვის).

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის პროცესის დაგეგმვა ნარჩენების ინტეგრირებული მართვის თანამედროვე პრინციპებისა და მიდგომების მიხედვით. აღნიშნული გეგმის მიზანია ნარჩენების მართვის ისეთი სისტემის შემუშავება და განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი სერვისის მიწოდებას.

დამატებით, აღნიშნული გეგმა მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების სისტემების ეტაპობრივ დანერგვასა და გამართულ ფუნქციონირებას, აღდგენის პროცესების ხელშეწყობის მიზნით.

## **1.2 გეგმის შემუშავების პროცესი.**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება განხორციელდა სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც შეიქმნა ხარაგაულის



მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 4 აპრილის #49 420-ე ბრძანებით „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“

სამუშაო ჯგუფი შედგება:

**ა) არჩილ მაღრაძე**- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე-სამუშაო ჯგუფის უფროსი;

**ბ) ჯაბა ბერაძე**- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

**გ) თემური თაბუკაშვილი** - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი;

**დ) მალხაზ ფხალაძე**- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი;

**ე) ინგა ბერაძე**- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწე გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში;

**ვ) თეა ბერიძე**- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი;

**ზ) თინათინ მეტრეველი**- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის განათლების სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპეციალისტი ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში;

**თინო ფერაძე**- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი საინფორმაციო მიმოცვლის საკითხებში;

**ი) მაია მაღრაძე**- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხებში;

**კ)ბერიკა თურმანიძე**-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი“-ს დირექტორი;

**ლ)თეიმურაზ ფურცელაძე**- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხარაგაულ დასუფთავება“-ს დირექტორი;

**მ)დავით ლაცაბიძე**-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხარაგაულ კეთილმოწყობა“ს დირექტორი;

**ნ)რევაზ სხილაძე**-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი წყალაფორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში;

**ო)სპარტაკი ლაცაბიძე**-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი მოლითის ადმინისტრაციულ ერთეულში;

## **2.სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის მიღება ეთხოვით :**

**ა) ვარლამ ჭიპაშვილს**-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს;

**ბ) ლენა აბაშიძეს**-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს;

**გ) ნინო კაპანაძეს**-დამოუკიდებელი გაზეთის „ჩემი ხარაგაული“რედაქტორის მოადგილეს;

**დ) ოთარ ლურსმანაშვილს**-N51-ე ოლქის ბაღდადი ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელს;

**ე)ხათუნა მანჯავიძეს**- არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“დირექტორს.

გეგმის შემუშავების პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შეთანხმებისა და მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით განხორციელდა საკონსულტაციო შეხვედრები დაინტერესებულ ჯგუფებთან.

შეხვედრის ფოტოები



გეგმის შემუშავების პროცესში ასევე განხორციელდა საკონსულტაციო შეხვედრები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებთან.

### **1.3 საქართველოს ნარჩენების მართვის საკანონმდებლო ბაზა და საერთაშორისო ვალდებულებები.**

საქართველოს კონსტიტუციის 37 მუხლით დეკლარირებულია, რომ „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“.

„ნარჩენების მართვის კოდექსი“

2015 წლის 15 იანვრიდან ძალაში შევიდა „ნარჩენების მართვის კოდექსი“, რომელიც აწესებს იურიდიულ ჩარჩოებს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით. კანონი ასევე ითვალისწინებს ყველა ვალდებულებას, რომელიც მოცემულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ ნაწილში. კანონი ეყრდნობა ნარჩენების მართვის ტაობაზე ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 19 ნოემბრის დირექტივის (2008/98/EC), ნაგავსაყრელების შესახებ 1991 წლის 26 აპრილის (1999/31/EC) დირექტივის და ევროკავშირის ნარჩენებთან დაკავშირებული სხვა საერთაშორისო რეგულაციების მოთხოვნებს.

ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრულია, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა შეიმუშაონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის ყოვლისმომცველი გეგმები, რომლებიც გამიზნული უნდა იყოს მუნიციპალიტეტების ფუნქციების გაუმჯობესებაზე ნარჩენების მართვის სფეროში. აღნიშნული ნარჩენების მართვის გეგმა უნდა ეფუძნებოდეს ნარჩენების მართვის იერარქიას და “ნარჩენების მართვის კოდექსი”-ს მე-5 მუხლით გათვალისწინებულ პრინციპებს. კანონის შესაბამისად მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების ხანგრძლივობა განსაზღვრულია 5–

წლიანი პერიოდით, და უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას.

კოდექსის მიზანია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, ნარჩენების მართვის სფეროში სამართლებლივი საფუძვლების შექმნა ისეთი ღონისძიებების დანერგვისათვის, რაც ხელს შეუწყობს ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას და ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსათვის უსაფრთხო გზით დამუშავებას (რაც მოიცავს რეციკლირებას და მეორადი ნედლეულის გამოცალკევებას), ნარჩენებიდან ენერჯის მიღებას, ასევე ნარჩენების უსაფრთხო განთავსებას.

„ნარჩენების მართვის დაგეგმვა“ ითვალისწინებს ნარჩენების მართვის სტრატეგიებისა და ეროვნულ დონეზე სამოქმედო გეგმის შემუშავების მოთხოვნებს, მუნიციპალიტეტების მიერ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების და ასევე მსხვილი კომპანიების მხრიდან ნარჩენების გეგმების შემუშავების მოთხოვნებსა და პირობებს.

### **კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“**

„გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის 34 მუხლი ადგენს ეკოლოგიურ მოთხოვნებს ნარჩენებისადმი. იგი განსაზღვრავს, რომ საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია უზრუნველყოს სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ნარჩენების შემცირება, გაუნებელყოფა, განთავსება გარემოს დაცვის, სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ნორმებისა და მოთხოვნების დაცვით. კანონში ასევე მოცემულია ზოგადი მითითება იმის თაობაზე, რომ ნარჩენების განთავსება და დამარხვა ნებადართულია სპეციალურად განსაზღვრულ ადგილებში და რომ აკრძალულია ყოველგვარი ნარჩენების განტავსება ზღვაში და წყლის სხვა ობიექტებში. გარდა ამისა, კანონი მოიცავს ნორმატიულ აქტებს ადამიანების საქმიანობის შედეგად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებით.

#### 1.4 ნარჩენების მართვის საკითხები ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმებაში.

საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ მეშვეობით საქართველოს მთავრობა ისწრაფვის, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გააუმჯობესოს ნარჩენების მართვის პრაქტიკა მაღალი საპროექტო და საოპერაციო სტანდარტების დაწესებით, ანუ სტანდარტებისა, რომლებიც მიღებულია ევროკავშირის ქვეყნებში. ამ ამოცანის განხორციელების მხარდამჭერი ფაქტია ის, რომ საქართველომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით (რომელსაც 2014 წლის ივნისში მოეწერა ხელი) იკისრა ვალდებულება, ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციაში მოიყვანოს ქვეყანაში მოქმედი ნარჩენების მართვის პრაქტიკა.

ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს იღებს ვალდებულებას გაატაროს რეფორმები და უზრუნველყოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის მთელ რიგ დირექტივებთან, მათ შორის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სფეროში. კერძოდ, აღნიშნული ასევე ეხება შემდეგ სფეროებს: გარემოსდაცვითი მმართველობა და ჰორიზონტალური საკითხები; ჰაერის ხარისხი; წყლის ხარისხი და წყლის რესურსების მართვა; ნარჩენების მართვა; ბუნების დაცვა, ქიმიური ნივთიერებების მართვა.

ნარჩენების მართვის სფეროში გასატარებელი ღონისძიებები მოცემულია ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების XXVI დანართში. კერძოდ, განსაზღვრულია ნარჩენების მართვის გეგმების მომზადება ნარჩენების ხუთსაფეხურიანი იერარქიის შესაბამისად და ნარჩენების პრევენციის პროგრამების შემუშავება, რაც უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში.

**2.მუნიციპალური ნარჩენების მართვის არსებული მდგომარეობის ანალიზი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში.**

**2.1 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები.**

**2.1.1 მდებარეობა.**

ხარაგაულის რაიონი (ფართობი 913,9კმ<sup>2</sup>) მდებარეობს საქართველოს გეოგრაფიულ ცენტრში, იმერეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. რაიონს აღმოსავლეთით ესაზღვრება ხაშურისა და საჩხერის, დასავლეთით ზესტაფონისა და ბაღდათის, ჩრდილოეთით ჭიათურისა და საჩხერის, სამხრეთით ბორჯომისა და ბაღდათის რაიონები. რაიონის ცენტრია დაბა ხარაგაული. რაიონში შედის 20 ტერიტორიული ერთეული. ხარაგაულის რაიონში შემავალი სოფლების რიცხვია 78.



ხარაგაულის რაიონი მთაგორიანია. მისი ტერიტორია მოიცავს იმერეთის მაღლობის, ლიხის და მესხეთის (უმაღლესი მწვერვალი – სამეცხვარიოს მთა 2642მ.) ქედების

ნაწილებს. სურამის(948მ.) და რიკოთის (999მ.) უღელტეხილებზე გამავალი საავტომობილო გზებით უკავშირდება აღმოსავლეთ საქართველოს.

### 2.1.2 ზედაპირული წყლები

რაიონის მთავარი მდინარეა ძირულა. მას ბევრი მდინარე ერთვის, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნი ჩხერიმელა, რომელსაც სათავე აქვს ლიხის ქედის დასავლეთ კალთაზე 1150მ. სიმაღლეზე. იგი მთლიანად მიეკუთვნება ხარაგაულის რაიონს და მისი ტერიტორიის 39კმ. კვეთს სათავიდან შესართავამდე. მდინარე ჩხერიმელის ხეობაში გაყვანილია რკინიგზის მაგისტრალის ერთ-ერთი რთული მონაკვეთი (წიფა\_ძირულა).

### 2.1.3 გზები

რაიონის ტერიტორია მაგისტრალური - სატრანსპორტო ხაზებით უზრუნველყოფილია. მას აღმოსავლეთით ჩრდილო-დასავლეთისკენ კვეთს წიფისა (სიგრძე 3910 მ) და ხანდების (740 მ.) გვირაბში გამავალი, ქვეყნის აღმოსავლეთის და დასავლეთის დამაკავშირებელი მთავარი რკინიგზა და ძირულა - სურამის მარშრუტის ორი საავტომობილო გზატკეცილი. მათგან ერთი რიკოთის უღელტეხილით (სიგრძე 1722 მ.) და ძირულის ხეობის გავლით (48 კმ.), ხოლო მეორე სურამი უღელტეხილით და ჩხერიმელას ხეობის გავლით (55 კმ.) გადადის მეზობელ ზესტაფონის რაიონში. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N7 დადგენილებით ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე შეადგენს 615 კილომეტრს, აქედან 45 კილომეტრი შეადგენს ა/ბეტონის ან ც/ბეტონის საფარის გზებს დარჩენილი დაახლოებით 570 კმ იანი ადგილობრივი გზების ზედაპირი ქვიშა-ხრემოვანია, ბუნებრივი მდებარეობისა და პირობების გამო გზების უმრავლესობა ხშირ შეკეთებას მოითხოვს, რაც დიდ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. 2017 წლისათვის დაგეგმილია 31 კმ გზის კაპიტალური რეაბილიტაცია.


ხარაგაულის რაიონის გეოგრაფიული მდებარეობა მეტყველებს მის სტრატეგიულ პოლიტიკურ - სამეურნეო და სოციალურ - კულტურულ მნიშვნელობაზე.



#### 2.1.4 მოსახლეობა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 24413 კაცი ცხოვრობს. სიმჭიდროვეა 28,2 კაცი 1 კმ-ზე, ანუ რაიონი სუსტად არის დასახლებული. განსახლების ძირითადი არეალი ზ.დ. 200\_600 მ-ის ფარგლებშია მოქცეული. ყველაზე მაღალი დასახლებული პუნქტებია ფონა და სახვლარი. რომლებიც ზ.დ. დაახლოებით 1000-1100მ-მდე მდებარეობენ. აღსანიშნავია რომ მოსახლეობის რაოდენობა ყოველ წელიწადს იკლებს და მატება არ შეიმჩნევა.

იხ. დიაგრამა.



მოცემული დიაგრამის მიხედვით ბოლო წლების მანძილზე მოსახლეობის კლება ფიქსირდება, შეიძლება ვივარაუდოთ რომ მომავალი 5 წლის მანძილზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის მატება არ მოხდება.

რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ხარაგაული (3215 მცხოვრები). იგი მდებარეობს მდინარე ჩხერიმელას ორივე ნაპირზე, ვიწრო და საკმაოდ ღრმა

ხეობაში. ზ.დ. 280-400 მ-ზე. დაბაზე გადის სარკინიგზო მაგისტრალი, ხარაგაული-ძირულას 10 კილომეტრიანი საავტომობილო გზით იგი უკავშირდება დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ საავტომობილო ტრასას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი შემდეგ ტერიტორიულ ერთეულებად იყოფა: ბაზალეთი, ბორითი, ვარძია, ვახანი, კიცხი, ლელვენი, ლაშე, მოლითი, ნადაბური, საღანძილე, ფარცხნალი, ხიდარი, წყალაფორეთი, წიფა, ღორემა, ხუნევი, ხევი.

### **2.1.5 ფლორა**

რაიონის მთავარი ბუნებრივი სიმდიდრეა ტყე, რომელსაც უკავია მთელი ფართობის 2/3- ზე მეტი (68,2%). მთისწინეთსა და დაბალმთიან ზონაში გავრცელებულია წიფლნარ-რცხილნარი, რომელსაც ერევა წაბლი, მუხა, იფანი, ცაცხვი, საშუალო ზონაში ქვეტყეს ქმნის მარადმწვანე ბუჩქნარი, ბევრია ხვიარა მცენარე, ძირითადად კი გაბატონებულია წიფლნარი. ტყის ზემო სარტყელში ფოთლოვანების გარდა არის ნაძვნარ-სოჭნარი, ხოლო მდინარეების ძირულასა და დუმალის წყალგამყოფზე შემორჩენილია ფიჭვნარი.

### **2.2 ნარჩენების მართვის არსებული სისტემა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში.**

ნარჩენების შეგროვების, განთავსების და რეციკლირების სისტემები ამ ეტაპზე შეზღუდულად არის წარმოდგენილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. აღნიშნულთან დაკავშირებით, განსაკუთრებით პრობლემატურ საკითხს წამოადგენს სახიფათო და ინდუსტრიული ნარჩენების მართვა.

ნარჩენების შეგროვების მომსახურეობა არ მოიცავს სრულად სასოფლო დასახლებებს. მუნიციპალიტეტში, კერძოდ სასოფლო დასახლებებში არსებობს უნებართვო და ე.წ არაკონტროლირებადი სტიქიური ნაგავსაყრელები.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ნარჩენების მართვის კოდექსის მიღება, რომელიც აწესებს მოთხოვნებს ქვეყანაში ნარჩენების მართვის მომავალი განვითარებისათვის. ასევე, ერთ-ერთი ყველაზე პოზიტიურ ნაბიჯად შეიძლება

ჩაითვალოს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი რეგიონალური ნაგავსაყრელების მოწყობის ინიცირება ცენტრალიზებული მართვის სისტემით

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე** წარმოქნილი ნარჩენების შეგროვებას ახდენს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი აიპ „ხარაგაულდასუფთავება“ რომელიც ასევე უზრუნველყოფს ნარჩენების ტრანსპორტირებას ნაგავსაყრელზე.

აიპ „ხარაგაულდასუფთავების“ ძირითადი საქმიანობებია:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების,პარკების,სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება;
- მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვება მოსახლეობიდან და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელამდე;
- ნარჩენების შეგროვება კომერციული და სხვა დანიშნულების დაწესებულებებიდან;
- ბაღის ნარჩენების გატანა;
- მკვდარი ცხოველების გატანა;
- ქუჩების ჩარეცხვა;
- ღვარსადენების ექსპლუატაცია;
- ადმინისტრაციული შენობების დასუფთავება

აიპ „ხარაგაულდასუფთავება“ ახდენს მომსახურების მიწოდებას მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის. კერძოდ, საუბარია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 75 %-ზე. სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას (არსებული 78 სოფლიდან საუბარია 35 სოფელზე) მიეწოდება ნარჩენების შეგროვების მომსახურება.

ურბანული მოსახლეობიდან ნარჩენების გატანა ხდება კვირაში 2 ჯერ. მთლიანად მუნიციპალიტეტში 148 ნარჩენების შეგროვების კონტეინერია განლაგებული, ასევე მცირე ზომის მეტალის 25 ერთეული ნაგავშემკრელი მეტალის კონტეინერი.

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისათვის გამოიყენება შემდეგი სისტემები:

- **კონტეინერული:** კონტეინერული ნარჩენების შესაგროვებლად კონტეინერები დაბის ტერიტორიაზე განლაგებულია საცხოვრებელ ადგილებთან ახლოს. მოსახლეობას საშუალება ეძლევა თავად განათავსოს ნარჩენები კონტეინერებში. კონტეინერების დაცლა განსაზღვრულ ინტერვალებში ხდება სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით.
- **ზარის სისტემა:** რომელიც გამოიყენება მოსახლეობიდან ეზო-ეზო ნაგავში მანქანებით საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისათვის.

#### **კონტეინერული სისტემის რეალიზაცია:**

კონტეინერული სისტემით მოცულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ნაწილი. კერძოდ, კონტეინერები განთავსებულია შემდეგ დასახლებულ პუნქტებში: დაბა ხარაგაული, პატარა ხარაგაული, ასევე დაბის მიმდებარე სოფლები სადაც ნაგავში მანქანის შესვლა ხდება.

ამჟამად დაბის ტერიტორიაზე განლაგებულია 79 ერთეული 1.1 მ<sup>3</sup> მოცულობის ნაგავშემკრელი და 30 მცირე ზომის კონტეინერი. კონტეინერები განთავსებულია ცენტრალურ ქუჩებზე და მოედნებზე, ორ, სამ და 4 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოებთან, საჯარო სკოლის ტერიტორიებთან, დაბის ტერიტორიაზე მდებარე კონტეინერების დაცლას შესაბამისი სამსახური ახდენს დღეში 2 ჯერ. აიპ „ხარაგაულდასუფთავების“ პირველი ცვლა დასუფთავებას და კონტეინერების დაცლას იწყებს დილის 6 სთზე და ასრულებს დილის 9 სთ-ზე. მეორე ცვლა სამუშაოს შესრულებას იწყებს 15:00 სთ-დან.

#### **კონტეინერულ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები:**

- ხშირად მოსახლეობისა და წარმოება-დაწესებულებათა მხრიდან ხდება მოძრავი კონტეინერების თვითნებურად გადაადგილება და არადანიშნულებისამებრ გამოყენება, უხეში მოხმარება რაც იწვევს კონტეინერის დაზიანებას, რომლის აღდგენა შემდგომში საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.
- დაბის ცენტრალურ ნაწილში, განსაკუთრების ბაზრების და დიდი მოცულობის სავაჭრო დაწესებულებების კონტეინერების გადავსების და ნარჩენების მიმოფანტვის შემთხვევები. ამ ნარჩენების უმეტეს ნაწილს შეადგენს ე.წ „შესაფუთი მასალები“ მუყაოს და პლასმასის ნარჩენები

ცხრილი #1 ხარაგაულის რაიონში კერძოდ დაბის ტერიტორიაზე მდებარე კონტეინერები

კონტეინერების ადგილმდებარეობა	l.1 მ3	მცირე ზომის ბუნკერები
სოლომონ მეფის ქუჩა	22	20
რ.დეკანოსიძის ქუჩა	14	4
თ.ჭიკაშვილის ქუჩა	7	
გალაქტიონის ქუჩა	12	4
კიკნაძის ქუჩა	8	2
თაბუკაშვილის ქუჩა	16	

Comment [uu1]: თემურ დამიზუსტე

ცხრილი #2 ხარაგაულის რაიონში სოფლების ტერიტორიაზე მდებარე კონტეინერები

1	საღანძილე			
2	ჩხერი			
3				
4				
5				

**ზარის სისტემის რეალიზაცია:**

ზარის სისტემა გამოიყენება ძნელად მისასვლელი ქუჩებისა და იმ სოფლების მომსახურებისათვის, სადაც არ დგას კონტეინერები. სულ ზარის სისტემით მოცულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 20 %. ნარჩენების გატანა აღნიშნული ადგილებიდან ხორციელდება სპეციალურად შემუშავებული გრაფიკის მიხედვით.

ნარჩენების შეგროვების პროცესის მონიტორინგსა და ზედამხედველობას ახორციელებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, კერძოდ, მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური.

მუნიციპალიტეტს არაქვს ნარჩენების შეგროვების სერვისის მიწოდების ამსახველი რუკები, არ არის რუკებზე დატანილი ნარჩენების შეგროვების კონტეინერების განლაგება და არც ნარჩენების კონტეინერების დაცლის მარშრუტები, ხელმძღვანელობა ზეპირსიტყვიერად არის შეთანხმებული ნაგავმზიდის მძღოლებთან.

**2.3 ნარჩენების განთავსება**

**Comment [uu2]:** თემურ,დამიზუსტე ეს როგორ ხდება,თუ რამე გეგმა გაქვთ აღნიშნულზე ამ აბზაცის ბოლოს მიაწერეთ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული ნარჩენების განთავსება ხდება თერჯოლის კეთილმოწყობილ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.საშუალო მანძილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან თერჯოლის ნაგავსაყრელამდე 35-37 კილომეტრია.

თერჯოლის მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელი შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ საკუთრებაში 2013 წელს გადმოეცა. ამ დროისთვის ნაგავსაყრელზე არსებული მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო: ნარჩენების შეტანა ხდებოდა არაორგანიზებულად, ნაგავსაყრელი ოპერირებდა სტანდარტებთან შეუსაბამოდ, ვერ აკმაყოფილებდა ეკოლოგიურ და სანიტარულ ნორმებს, კონტროლი და სანიტარული ზედამხედველობა ნაგავსაყრელზე არ ხორციელდებოდა. ნაგავსაყრელის ოპერირება ზიანს აყენებდა გარემოს და საფრთხეს უქმნიდა ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობას.

შპს “საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია,” საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელზე, კეთილმოწყობის მიზნით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ჩაატარა, რომლის ფარგლებშიც მოეწყო პოლიგონის შიდა გზები, წყალარინების არხები, ნარჩენები გადაიფარა საიზოლაციო ფენით, მოეწყო მიწის კავალიერები შემდგომი ექსპლუატაციითვის, შემოიღობა ნაგავსაყრელის ტერიტორია, განთავსდა სადარაჯო ჯიხური. ასევე, მოხდა ტერიტორიის ელექტროფიცირება, ნაგავსაყრელი აღიჭურვა სპეც-ტექნიკით და მოეწყო მანქანა-მექანიზმების ფარდული. დამონტაჟდა 60 ტონიანი სამანქანე სასწორი.

განახლებული პოლიგონის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ, მოქმედი სტანდარტების შესაბამისად, განისაზღვრება ნარჩენების მიღება და მათი განთავსება პოლიგონზე გამოყოფილ სპეციალურ უჯრედებში, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს

გარემოზე მავნე ზემოქმედებას. უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებას და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

#### 2.4 შეგროვების და ტრანსპორტირების საშუალებები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის გამოიყენება შემდეგი ტექნიკური აღჭურვილობა:

- 4 ერთეული თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანა;
- 1 ერთეული UAZ ტიპის ავტომანქანა;
- 1 ერთეული ZIL -ის ტიპის ავტომანქანა(რომელიც ასევე გამოიყენება ქუჩების სარწყავად)

**Comment [uu3]:** თემურ ტექნიკის დახასიათებაც გადამიმოწმე

#### იხ. ტექნიკის ჩამონათვალი,ცხრილი #3

ტექნიკის დასახელებ	მოდელი	მდგომარეობა	შემენის ფასი	რაოდენობა	განტავსების ადგილი
ნაგავმზიდი	ISUZU	მუშა	გაურკვეველია	2	ხარაგაულის მუნ-ტი
ნაგავმზიდი	MERCED ES	მუშა	184000 ლარი	1	ხარაგაულის მუნ-ტი
ნაგავმზიდი	MERCEDE S 2 ხიდიანი	მუშა	220000 ლარი	1	ხარაგაულის მუნ-ტი



თვითმცლელი	გაზ-53-14	მუშა	გაურკვეველ ია	1	ხარაგაულის მუნ-ტი
მაღალი განმავლობ ის	UAZ	მუშა	გაურკვეველ ია	1	ხარაგაულის მუნიციპალიტე ტი

ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში დამატებითი ტრანსპორტის შეძენის საჭიროება არ დგას, შესაბამისად არ იგეგმება ამ მხრივ რაიმე ღონისძიებების განხორციელება.

#### **2.4 ნარჩენების დახასიათება და რაოდენობა.სახიფათო ნარჩენები**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შედგენილობის შესწავლა, მუდმივი დაკვირვება არ ხორციელდება, რადგან არ მიმდინარეობს წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების რაოდენობის აღრიცხვა. ნარჩენების მოცულობის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ნაგავსაყრელებზე შეტანილი ნარჩენების რაოდენობის მიხედვით.

მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებაზე. სამართლებრივი თვალსაზრისით, მუნიციპალური ნარჩენები არის საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ან მსგავსი შემადგენლობის მქონე ნარჩენები, მათ შორის სეპარირებით შეგროვებული ფრაქციები, რომელიც წარმოიქმნება კომერციული, ინდუსტრიული და ინსტიტუციონალური პირების მიერ. „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით, ნარჩენების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ მთავრობის დადგენილებაში, მუნიციპალურ ნარჩენებს მინიჭებული აქვს ექვსნიშნა კოდი - 20 XX XX, სადაც XX XX შეესაბამება, საკუთარი მახასიათებლების მქონე, დაახლოებით 50-მდე ტიპის სხვადასხვა ნარჩენებს, რომელთაგანაც ზოგიერთი არის სახიფათო.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ოჯახებიდან და მცირე კომერციული ობიექტებიდან წარმოქმნილი ნარჩენები შეიძლება შეიცავდეს შემდეგი სახის ნარჩენებს, რომელიც ნარჩენების მართვის კოდექსის, მე-3 დანართის თანახმად, განეკუთვნება სახიფათო ნარჩენების კატეგორიას:

- დაცლილი ბატარეები და აკუმლატორები
- ნარჩენი საღებავები, გამხსნელები და სხვა ქიმიური შენაერთები, მათ შორის საპოხი მასალა და აგრეთვე მათი შესანახი კონტეინერები
- ფლურესცენციული და ენერგო დამზოგავი ნათურები ან მილები.
- ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები
- მინერალური და სამზარეულოს ზეთები და მათი შესანახი კონტეინერები
- სამედიცინო ნარჩენები და სამედიცინო მომსახურებისას გამოყენებული ნივთები (არაუმეტეს ნორმალურ საყოფაცხოვრებო პირობებში არსებული რაოდენობისა)
- გარდაცვლილი შინაური ცხოველები (არაუმეტეს ნორმალურ საყოფაცხოვრებო პირობებში არსებული რაოდენობისა)
- სხვადასხვა კონსერვანტებით ან ქიმიკატებით, მათ შორის ლაქით დამუშავებული ხე/ხის მასალები
- აზბესტის ნარჩენები (მხოლოდ მცირე რაოდენობით)
- ნარჩენი პესტიციდები და მათი შესანახი კონტეინერები
- კოსმეტიკა, როგორცაა ფრჩხილის ლაქები და მისი გამხსნელები, სუნამოები, კრემები.

საქართველოში დღემდე არ არსებობს ორგანიზებული სისტემა ან სათანადო ობიექტი, სადაც შეიძლება მსგავსი სახიფათო ნარჩენების შეგროვება, აღდგენა და/ან უსაფრთხო განთავსება (გარდა იმ ობიექტებისა, რომელიც განკუთვნილია სამედიცინო დაწესებულებებიდან წარმოქმნილი ნარჩენებისთვის).

**შეგროვება და განთავსება:**

აღნიშნულ პრაქტიკაში არსებობს გამოწვევებიც, განსაკუთრებით მაშინ, თუ საუბარია მეტალის შემცველ ნარჩენებზე, რომელსაც კერძო პირები განცალკევებით აგროვებენ. თუმცა, გაურკვეველია შემდეგ სად მიდის ეს ნარჩენები. შეიძლება დავასკვნათ, რომ ხდება მათი ხელახლა გამოყენება (რემონტი ან მეორადი გაყიდვა), ან რეციკლირება (სათადარიგო ნაწილების ან მასალების ამოღება). გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში არიან მოვაჭრეები, რომლებიც, ადგილზე მიტანის შემთხვევაში, ამ ტიპის ნარჩენებს ხელზე იბარებენ, ან ყიდულობენ.

გაურკვეველია როგორ ხდება სახიფათო მახასიათებლების მქონე ნარჩენების განკარგვა იმ სოფლებში, რომლებიც კონტეინერებით არ არის აღჭურვილი და არ უკავშირდება ნარჩენების შეგროვების სისტემას. ცნობილია, რომ ხანდახან ეს ნარჩენები, მცირე ოდენობით, იყრება ნარჩენების უკანონო განთავსების ადგილებში. სპეციალური დასუფთავების კამპანიების შემდეგ, რომელიც ტარდება მუნიციპალიტეტის ძალისხმევით, აღნიშნული ნარჩენების გადატანა ხდება ოფიციალურ ნაგავსაყრელზე.

რაც შეეხება მკვდარ ცხოველებს, მათი განთავსება ხდება ე.წ. „ბეიკერის ორმოში“, რომელიც მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. დღეისათვის, იმ პირობებში როცა არ არსებობს სხვა გამოსავალი ან ალტერნატივა, ეს ითვლება მისაღებ ვარიანტად ვეტერინარული და ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით.

ჯერ-ჯერობით არ არსებობს ინფორმაცია წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების ზუსტი რაოდენობის შესახებ, თუმცა ნარჩენების შემკრებ კონტეინერებში გადაყრილ სხვა მასალებთან შედარებით, ეს არ არის ნარჩენების ძირითადი კომპონენტი და რაოდენობაც შედარებით უმნიშვნელოა. დასავლეთ ევროპის მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ „სახიფათო საყოფაცხოვრებო ნარჩენების“ წილი არის 2%-ზე ნაკლები. სავარაუდოდ, საქართველოში ეს ციფრი უფრო ნაკლებია, მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო რაიონებში საკმაო რაოდენობის ნარჩენი პესტიციდები და მათი შესაფუთი მასალები იყრება.

Comment [uu4]: დავაზუსტოთ

სავარაუდოდ, გეგმის მოქმედების მანძილზე არ შეიცვლება ნარჩენების მართვის კოდექსის, მე-3 დანართის მიხედვით, სახიფათო მახასიათებლების მქონე ნარჩენების რაოდენობა და წილი. იგივე შეიძლება ითქვას მოსახლეობის დინამიკასა და რაიმე სხვა ინდიკატორზე დაყრდნობით. ჯერ-ჯერობით არ ჩანს ისეთი საწარმო ან ობიექტი, რომელიც ეფექტური დამუშავების, რეციკლირების ან სეპარირების საშუალებას მოგვცემდა.

#### *შეგროვება და განთავსება:*

ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, მოსალოდნელია, რომ სახიფათო საყოფაცხოვრებო ნარჩენების მცირე (მისაღები) რაოდენობით შეგროვება და განთავსება კვლავ გაგრძელდება, თუ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოხდა (მაგ.: მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შემოღება, ცენტრალიზირებული დამუშავების და/ან რეციკლირების დაწყება, რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა).

იმის გამო, რომ კონტროლირებად ნაგავსაყრელზე განთავსების შემთხვევაში, სახიფათო საყოფაცხოვრებო ნარჩენები შედარებით უმნიშვნელო რისკებს წარმოქმნის, მუნიციპალიტეტი არ აპირებს ჩაერთოს სეპარირებულ შეგროვებაში ვიდრე დამუშავების რაიმე ვარიანტი ხელმისაწვდომი არ იქნება.

უახლოეს მომავალში, მკვდარი შინაური ცხოველების (და მსხვილფეხა საქონლის) მართვის საკითხი დარეგულირდება სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ, ერთობლივად შემუშავებული ღონისძიებებით, მათ შორის, „ცხოველური ნარჩენების მართვის შესახებ“ კანონპროექტებზე აქტივით (ნარჩენების მართვის კოდექსი, მუხლი 49). სავარაუდოდ, ახალი რეგულაციები ძალაში შევა 2018 წელს. აგრეთვე მოსალოდნელია, რომ ახალი რეგულაციების ამოქმედებასთან ერთად, ქვეყანაში გაჩნდება სათანადო ობიექტები და მსგავსი ნარჩენების დამუშავების მომსახურება

ხელმისაწვდომი გახდება. მანამდე კი, მუნიციპალიტეტს არ გააჩნია სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, გაარბელოს დღეს არსებული პროცედურები და პრაქტიკა.

რაც შეეხება სახიფათო ინდუსტრიულ ნარჩენებს, მუნიციპალიტეტი (გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან ერთად) უზრუნველყოფს, რომ რისკების შეკავება მოხდეს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად. კვლავ, მუნიციპალიტეტი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან ერთად, გააკონტროლებს არის თუ არა ეს ნარჩენები შენახვის ადგილას უსაფრთხოდ დასაწყობებული და რა ღონისძიებები ტარდება აღნიშნულის უზრუნველსაყოფად.

საჭიროების შემთხვევაში, ნარჩენებზე პასუხისმგებლობას და იურიდიულ უფლებამოსილებას იღებს მუნიციპალიტეტი. ნარჩენების არასათანადო მართვის შედეგად მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით, შესაძლოა წამოწყებულ იქნას სამოქალაქო დავის პროცედურები.

***თვალთახედვა:***

საკუთარ ტერიტორიაზე ნარჩენების სეპარირებისას, ან სეპარირებული შეგროვების ეტაპობრივი დანერგვისას, ხარაგაულის მუნიციპალიტეტი ყურადღებას გამამახვილებს, დარჩენილი ფრაქციებიდან გარკვეული სახიფათო ნარჩენების ამოღების ვარიანტებზე. აღნიშნულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომელსაც მუნიციპალიტეტი ინტენსიურად განიხილავს, შეიძლება მოიცავდეს საჯარო მიმღებ პუნქტებს და თანამშრომლობის სქემებს, სპეციალური შემგროვებელი მანქანების მართვის კუთხით.

ანალოგიურად, გეგმის მოქმედების განმავლობაში, რეალურად წარმოქმნილი სახიფათო საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტიპი და რაოდენობა, უფრო დეტალურად იქნება შესწავლილი და ჩაითვლება როგორც მუნიციპალური ნარჩენების

დახასიათების მცდელობა. უმჯობესია თუ ეს განხორციელდება მეზობელ მუნიციპალიტეტებთან, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან და „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან“ ერთად.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების დახასიათება.

## დაცლილი ბატარეები და აკუმულატორები.

ჯერ-ჯერობით არ ხდება იმ ბატარეებისა და აკუმულატორების სეპარირებული შეგროვება, რომელიც ამოღებულია ნათურებიდან, კედლისა და მაჯის საათებიდან, ლეპტოპებიდან, საყოფაცხოვრებო ტექნიკიდან, საპარსებიდან, სათამაშოებიდან, ელ. ხელსაწყოებიდან და ა.შ. (მაგრამ არა ავტომობილებიდან). აღნიშნული ბატარეები (ნარჩენების ნუსხა, 16 06 XX) დღესდღეობით საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად იყრება.

ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, ბატარეები და აკუმულატორები მოქცეულია „მწარმოებელთა გაფართოებულ ვალდებულებაში“, რაც ნიშნავს, რომ მწარმოებლები და იმპორტიორები, რომელთაც ბაზარზე შემოაქვთ ბატარეები (უშუალოდ, ან როგორც რაიმე პროდუქტის ნაწილი), პასუხისმგებლები არიან მათ შეგროვებასა და რეციკლირებაზე. 2019 წელს, გეგმის მოქმედების პერიოდში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად, აპირებს შეიმუშაოს „მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის“ წესები და მწარმოებლებთან ერთად, განავითაროს შეგროვებისა და რეციკლირების სისტემა. მუნიციპალურ მყარ ნარჩენებში ბატარეების მცირე რაოდენობისა და შესაბამისად, განთავსების ხარჯებზე მცირე გავლენის გათვალისწინებით, მუნიციპალიტიტეტი არ აპირებს, ჩაერთოს ბატარეების სეპარირებულ შეგროვებაში აღნიშნულ დრომდე.

## ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენები

არსებული მდგომარეობის შესწავლა.

ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობის ნარჩენები (ე.წ. WEEE, ნარჩენების ნუსხა, 16 02 XX) და ფლურესცენციული და ენერგო დამზოგავი ნათურები და მილები (ნარჩენების ნუსხა, 20 02 21\*), ხშირად შეიცავს სახიფათო მასალებს. მართალია, არსებობენ ფორმალური თუ არაფორმალური შემგროვებლები, თუმცა



ისინი ძირითადად დაინტერესებული არიან დიდი ზომის ნივთებით, როგორცაა სარეცხი მანქანა ან მაცივრები და ისიც ძირითადად გროვდება მეტალის ან მეორადი ნაწილების გამო. ყველა სხვა მცირე ზომის მოწყობილობა, რომელიც რემონტს ადარ ექვემდებარება და არანაირი ღირებულება არ გააჩნია, როგორცაა: გაფუჭებული სათამაშოები, საოჯახო ტექნიკა, ლეპტოპები, მობილური ტელეფონები, სავარაუდოდ ხვდება მუნიციპალურ მყარ ნარჩენებში.

## თვალთახედვა

ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, ელექტო და ელექტრონული აღჭურვილობისგან წარმოქმნილი ნარჩენები მოქცეულია „მწარმოებელთა გაფართოებულ ვალდებულებაში“, რაც ნიშნავს, რომ მწარმოებლები და იმპორტიორები, რომელთაც ბაზარზე შემოაქვთ ტელევიზორები, ელ. ხელსაწყოები და ა.შ., პასუხისმგებლები არიან მათ შეგროვებასა და რეციკლირებაზე. გეგმის მოქმედების პერიოდში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო აპირებს შეიმუშაოს „მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის“ წესები და მწარმოებლებთან ერთად, განავითაროს შეგროვებისა და რეციკლირების სისტემა. მუნიციპალურ მყარ ნარჩენებში ელექტრო და ელექტრონული ნარჩენების მცირე რაოდენობისა და შესაბამისად, მათი განთავსების ხარჯებზე მცირე გავლენის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტი არ აპირებს, აღნიშნულ დრომდე ჩაერთოს ელექტო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებაში. მეორეს მხრივ, მუნიციპალური ადმინისტრაცია მხარს დაუჭერს ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც ხელს უწყობს ელექტო და ელექტრონული მოწყობილობების ხანგრძლივ ან ხელმეორედ გამოყენებას.

იმ კერძო პირებსა და კომპანიებს, რომლებიც მეტალის ამოღების მიზნით, ჩართულნი არიან დიდი ზომის საოჯახო ტექნიკის შეგროვებასა და დაშლაში, ამის უფლება გააჩნიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფლობენ სათანადო ნებართვას ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად. გარემოსდაცვით ინსპექციასთან ერთად,

მუნიციპალიტეტი მოქმედებაში მოიყვანს აღნიშნულ კანონს, რათა ელექტო და ელექტრონული ნარჩენების გადაყრა ან დაწვა, თავიდან იქნას არიდებული.

### **სამშენებლო მასალები, არსებული მდგომარეობის მიმოხილვა.**

ინერტული ნარჩენები არის ნარჩენი, რომელიც არ განიცდის მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ცვლილებებს – არ იხსნება, არ იწვის და არ შედის სხვაგვარ ქიმიურ ან ფიზიკურ რეაქციაში, არ განიცდის ბიოდეგრადაციას და სხვა მასალაზე არ ახდენს ისეთ გავლენას, რომელიც გამოიწვევს გარემოს დაბინძურებას ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას (მუხლის 3, ნარჩენების მართვის კოდექსი). ნარჩენების მართვის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო შეიმუშავებს „ინერტული ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმას“.

ინერტული ნარჩენები, რომელიც ძირითადად შედგება სამშენებლო ნარჩენებისგან (დაბინძურებული ადგილებიდან ამოთხრილი ნიადაგის ჩათვლით) და რომელსაც ნარჩენების ნუსხაში მინიჭებული აქვს კოდი 17 XX XX, არ არის მუნიციპალური ნარჩენების ნაწილი, თუ კერძო პირების მიერ წარმოიქმნება და მცირე რაოდენობით არ თავსდება მუნიციპალურ კონტეინერებში.

ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის შედეგად, წლის განმავლობაში 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენები წარმოიქმნება, ვალდებულია შეიმუშაოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა, სადაც აღწერილია როგორ მოხდება ნარჩენების დამუშავება, და წარუდგინოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს. ყველა კომპანია რომელიც წარმოქმნის სამშენებლო ნარჩენებს, სამშაოების დაწყებამდე უნდა დაუკავშირდეს მუნიციპალიტეტს და წერილობით აცნობოს რას უპირებს აღნიშნულ ნარჩენებს. ამავდროულად, უნდა წარმოადგინოს დოკუმენტაცია, რომ აღნიშნული ნარჩენების მართვა, ნამდვილად ხორციელდება უფლებამოსილი პირის მიერ.

უფრო მცირე რაოდენობის ინერტული ნარჩენების შესახებ, მუნიციპალიტეტში ინფორმაცია არ არსებობს. გაურკვეველია ისიც, თუ რა რაოდენობის ინერტული ნარჩენები ხვდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერში. ამჟამინდელი პრაქტიკით, ცალკეული პირები, რომლებიც საკუთარ სახლში მცირე მასშტაბის სარემონტო სამუშაოებს ატარებენ, ინერტულ ნარჩენებს ათავსებენ აღნიშნულ კონტეინერებში, მიაქვთ პირდაპირ ნაგავსაყრელზე, ან ყრიან სადმე (რაც, რა თქმა უნდა, არის უკანონო ქმედება).

### **თვალთახედვა.**

შესაძლოა ინერტული ნარჩენები ჯანმრთელობისთვის საშიში იყოს. ამასთან, დანაგვიანება და ნარჩენების გზის პირას გადაყრა მიუღებელია ესთეტიური თვალსაზრისითაც და გამოხატავს მუნიციპალიტეტისადმი უპატივცემულობას. გამომდინარე აქედან, აღნიშნული ქმედება აკრძალულია, ხოლო ნარჩენების მართვის კოდექსის 32-ე მუხლი, აწესებს ჯარიმებს სამშენებლო ან ინერტული ნარჩენებით, გარემოს დაბინძურებისთვის.

1. 1 მ<sup>3</sup>-მდე მოცულობის სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენით გარემოს დანაგვიანება, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.
2. 1 მ<sup>3</sup> ან 1 მ<sup>3</sup>-ზე მეტი მოცულობის სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენით გარემოს დანაგვიანება, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირი, რომლის მიმართაც შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი, ვალდებულია დაუყოვნებლივ დაასუფთაოს სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენებით დანაგვიანებული ტერიტორია. ამ ვალდებულების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული ტერიტორიის დასუფთავებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ან

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ უფლებამოსილი პირი, ხოლო დასუფთავების ხარჯები სამართალდამრღვევს დაეკისრება.

ჯარიმები და აღსრულება გულისხმობს, რომ არსებობს ალტერნატივა. ამჟამად შესაძლებელია ნარჩენების პირდაპირ ნაგავსაყრელზე მიტანა. თუმცა „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ აღნიშნავს, რომ რეგიონალური ნაგავსაყრელის ამოქმედების შემდეგ, ეს შეიძლება აღარ იყოს შესაძლებელი. გამომდინარე აქედან, მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს განთავსებისა და რეციკლირების ალტერნატიული ვარიანტი. კერძოდ, ინერტული ნარჩენების განსათავსებლად, უნდა გამოყოს ამასათვის განკუთვნილი ნაგავსაყრელი.

### **არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ვარიანტები.**

მუნიციპალიტეტი განიხილავს შეგროვების ისეთ ვარიანტებს, რომელიც არსებულ პრაქტიკაზე უფრო მისაღებია და მოიძიებს სათანადო გზებს მათი დაფინანსებისა და დარეგულირების მიზნით. მუნიციპალიტეტი აგრეთვე შეისწავლის სპეციალური კონტეინერის გამოყოფის შესაძლებლობას, სამშენებლო საქმიანობით დაკავებული კერძო პირებისა და მცირე ზომის კომპანიებისთვის. აღნიშნული კონტეინერის დაქირავება შესაძლებელია მუნიციპალიტეტისგან, რომელიც თავად უზრუნველყოფს მშენებლობა-ნგრევის ნარჩენების სათანადო განთავსებას/რეციკლირებას. გარდა ამისა, კერძო პირებს სამშენებლო ნარჩენების მიტანა შეეძლებათ სპეციალურ მიმღებ პუნქტებში.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი სხვა მუნიციპალიტეტთან ერთად, განიხილავს სამშენებლო ნარჩენების რეციკლირების ვარიანტებს, რაც მრავალ ქვეყანაში მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენს. მსგავს საწარმოში ინვესტიციების ჩადების მიზნით, მუნიციპალიტეტი ითანამშრომლებს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან“ და კერძო სექტორთან.

### **ბიოდეგრადირებადი ნარჩენები**

ბიოდეგრადირებადი ნარჩენები, როგორცაა სამზარეულოს ნარჩენები, საკვებისა და ბალის ნარჩენები, წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ნარჩენების მთავარ შემადგენელ ნაწილს. საყოფაცხოვრებო ნარჩენებში ბიოდეგრადირებადი ნარჩენების რაოდენობის შესახებ ზუსტი ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის, თუმცა შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვა პროექტებში წარმოდგენილი მონაცემები. ჩვენი მუნიციპალიტეტის სასოფლო რაიონებში, ბიოდეგრადირებადი ნარჩენები გამოიყენება შინაური ცხოველების საკვებად ან კომპოსტირებისთვის. რაც შეეხება (მუნიციპალური) პარკებიდან და სკვერებიდან ამოღებულ დიდი რაოდენობით ნარჩენებს, ამჟამად ხდება მათი შედროვება და ნაგავსაყრელზე განთავსება. ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო შეიმუშავებს ბიოდეგრადირებადი ნარჩენების სტრატეგიას, სადაც ყურადღება გამახვილდება, ნაგავსაყრელზე განსათავსებელ ნარჩენებში ბიოდეგრადირებადი კომპონენტის შემცირებაზე. სავარაუდოდ, მუნიციპალიტეტები აღნიშნულ საკითხში საკუთარ წვლილს შეიტანენ.

### **თვალთახედვა**

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების ნაგავსაყრელზე მოხვედრის თავიდან არიდება ხელს უწყობს ნედლეული მასალების შენახვასა და სახსრების დაზოგვას სათბურის გაზის ეფექტის შემცირებაზე. ასევე მნიშვნელოვანია განთავსების ხარჯების დაზოგვაც. ბიოდეგრადირებადი ნარჩენების დამუშავების ყველაზე მარტივი და სრულყოფილი გზა არის კომპოსტირება. მუნიციპალიტეტი აპირებს საოჯახო კომპოსტირების წახალისების პროგრამების შემუშავებას რათა ამ მეთოდის დანერგვა უფრო საინტერესო გახადოს.

გეგმის მოქმედების განმავლობაში ჩვენი მიზანია, რომ კომპოსტირების შესახებ ინფორმაცია მივაწოდოთ საკუთარი ბალის მქონე ყველა ოჯახს და, რომ მათმა 50%-მა, რეალურად დაიწყოს კომპოსტირება ან ბიოდეგრადირებადი ნარჩენები გამოიყენოს

სხვა დანიშნულებით, მაგ.: მულჩირებისთვის ან ცხოველების საკვებად. აღნიშნული ინიციატივის მხარდასაჭერად, მუნიციპალიტეტი აპირებს ჩაერთოს სხვადასხვა კამპანიებში, მაგ., დაარიგოს ბუკლეტები, სადაც აღწერილი იქნება როგორ მოვაწყოთ საკუთარი კომპოსტირების კონტეინერი.

## ვარიანტები

- დაგეგმვის პერიოდის განმავლობაში, მუნიციპალიტეტი შეისწავლის მცირე კომპოსტირების საწარმოს შექმნის ვარიანტებს (დეცენტრალიზირებული ან საერთო კომპოსტირება), რათა თავიდან აიცილოს ბაღის ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება.
- აღნიშნულ საწარმოში შესაძლებელი იქნება ოჯახებში წარმოქმნილი მწვანე ნარჩენების კომპოსტირებაც. ბაღის ნარჩენების შეგროვების მიზნით, მუნიციპალიტეტი განიხილავს „მწვანე ნარჩენების“ შესაგროვებლად, სპეციალური შემოვლითი რაუნდების ორგანიზებას, რომელიც სეზონურად, გაზაფხულსა და შემოდგომაზე იქნება ხელმისაწვდომი.
- დეცენტრალიზებული კომპოსტირების მოწყობის ვარიანტები განხილულ იქნება მეზობელ მუნიციპალიტეტებთან ერთად.
- ბაღის ნარჩენების შეგროვების გარდა, გრძელვადიან პერსპექტივაში განხილულ იქნება ბიოდეგრადირებადი ნარჩენების სეპარირებით შეგროვების ვარიანტები. რეციკლირებადი მასალების სეპარირებული შეგროვების დანერგვა კი გამოყენებულ იქნება გამოცდილების შესაძენად.
- (სხვა ნარჩენებთან ერთად) ბაღის ნარჩენების, ქუჩაში ფოთლების და შემოდგომაზე მოსავლის ნარჩენების დაწვის პრაქტიკა უნდა დასრულდეს. ამ დროს ხდება სხვადასხვა სახით ჰაერის დაბინძურება, რაც საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ალტერნატიული ვარიანტი არის საოჯახო და საერთო კომპოსტირება, რის შედეგადაც ბაღის ნასხლავები თუ სხვა სახის ნარჩენები, შეიძლება გამოყენებულ იქნას ნიადაგის გასანოყიერებლად ან ნიადაგის

გადასაფარად, თავის მხრივ, რაც ხელს უშლის სარეველების ზრდას და ამცირებს ჰერბიციდების (სარეველების საწინააღმდეგო ქიმიური ნივთიერებების) გამოყენების საჭიროებას.

- ნარჩენების მართვის კოდექსის 35-ე მუხლის შესაბამისად, დაგეგმვის პერიოდის განმავლობაში, მუნიციპალიტეტი მოამზადებს ადმინისტრაციულ ბრძანებას, რომელიც აკრძალავს ნარჩენების ღია წესით დაწვას, დაარეგულირებს სპეციალურ გამონაკლისებს და ამავდროულად დააწესებს ჯარიმებს.

მუნიციპალიტეტს არააქვს ინფორმაცია წლების განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ, რაც მოგვემდინა ნარჩენების წარმოქმნის შესახებ სურათს დინამიკაში. 2016 წლის მონაცემების მიხედვით მოცემულ წელს (სექტემბრის თვისათვის) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვდა 572 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი და 912 ტონა ქუჩების/პარკების დასუფთავებით წარმოქმნილი ნარჩენები.

ამდენად, საქართველოს სხვა ქალაქებისათვის ჩატარებული კვლევების შედეგების გამოყენებით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენებიდან, უმეტესი წილი მოდის ორგანულ ნარჩენებზე (63-65%). სხვა სახის ნარჩენებიდან, აღსანიშნავია პლასტმასის ნარჩენების (12-14%), მაკულატურის (10-12%), ლითონისა (3%) და მინის (2-4%) შემცველობა.

ნარჩენების წარმოქმნა სეზონურობის კომპონენტის გათვალისწინებით, მაქსიმალურ მოცულობას აღწევს ივლის-აგვისტოს თვეში, ხოლო მინიმალურს იანვარ-თებერვლის თვეში.

უცნობია ყოველწლიურად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების რაოდენობა, რადგან არ ხდება მუნიციპალური სახიფათო და სხვა ნარჩენების განცალკევებული შეგროვება.

**Comment [uu5]:** თემურ დაზუსტება დაგვჭირდება

ასევე, არ მოიპოვება მონაცემები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი დიდგაბარიტიან (რადგან მათი გატანა არ ხდება შემგროვებელი კომპანიის მიერ და მოსახლეობა ძირითადად საკუთარ ტერიტორიაზე ინახავს ამ ტიპის ნარჩენს) ნარჩენების რაოდენობის შესახებ

საკმაოდ მწირია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ და შესაბამისად, აშკარად დგება საჭიროება მუნიციპალიტეტმა მოახდინოს მონაცემთა ბაზის შექმნა, სადაც აღრიცხული იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა სახეობების მიხედვით, რაც ნარჩენების ეფექტიანი მართვის ამოსავალი წერტილია.

## **2.5 სეპარირებული ნარჩენების შეგროვება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე**

საქართველოში წარმოქმნილი ნარჩენების 99.97% ნაგავსაყრელებზე ხვდება.

ასოცირების შეთანხმების თანახმად, 2020 წლისთვის ამ მიმართულებით აუცილებელი ყველა სამართლებრივი აქტი სახელმწიფოს უკვე მიღებული უნდა ჰქონდეს და მათი შესრულებაზე მუშაობაც დაწყებული უნდა იყოს. საერთაშორისო კონვენციების ვალდებულებებიც კანონმდებლობაში ამ დროისთვის ასახულ-განხორციელებული უნდა იყოს.

2017 წლის 1 დეკემბრამდე ყველა მუნიციპალიტეტს შემუშავებულ-დამტკიცებული უნდა ჰქონდეს ნარჩენების მართვის პირველი ხუთწლიანი გეგმა. სახიფათო ნარჩენების მართვის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება 2025 წლისთვის უნდა დასრულდეს.

2020 წლისთვის სახელმწიფოს მიზნად დასახული აქვს, რომ მუნიციპალური ნარჩენების 90%-ის შეგროვება მაინც მოახერხოს. რაც შეეხება სახიფათო ნარჩენებს, ამავე წლისთვის მან სულ მცირე 50% მაინც უნდა შეაგროვოს.



ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2014 წლის თებერვლიდან გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება უნიკალური პროექტი „პოლიეთილენი დიოქსინ-ფურანების წარმოშობის წყარო და მასთან ბრძოლა საზოგადოების მხარდაჭერით.“ პროექტს ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები ქვეყნის მომავლისათვის.“ პროექტის თანახმად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში პოლიეთილენის ბოთლებისა და ცელოფნის პარკების შემგროვებელი 26 სპეციალური ურნა დაიდგა. შეგროვებული მასა სპეციალური აპარატით იპრესება.



ბუნკერები ცხრამეტ ტერიტორიულ ერთეულში სკოლებთან ახლოს არის განთავსებული. სკოლაა ის ადგილი, საიდანაც ყველაზე ეფექტურად ვრცელდება ინფორმაცია მოსახლეობაში. აღსანიშნავია, რომ სკოლები აქტიურად ჩაერთვნენ პროექტის განხორციელებაში, მოაწყვეს დასუფთავების აქციები და შეაგროვეს პოლიეთილენის ბოთლები.

რაც შეეხება მომსახურებას, ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავება“ პერიოდულად ცლის ბუნკერებს და ს/ს „ავტოტრანსის“ ტერიტორიაზე სპეციალურ ადგილზე ათავსებს. ბოთლების დაპრესვამდე ისინი დახარისხდება ფერების მიხედვით,

უნდა აღინიშნოს, რომ პლასტამისის ნარჩენების დახარისხებული შეგროვება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს, მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობს პლასტიკის სეპარირებაში. აღსანიშნავია, რომ

გამოკითხულთა უმრავლესობა გამოთქვამს მზადყოფნას, მონაწილეობა და საკუთარი წვლილი შეიტანოს ნარჩენების მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვაში. კერძოდ, მუნიციპალიტეტში, გამოკითხულთა 79%-ზე მეტი მზადაა მონაწილეობა მიიღოს ნარჩენების სეპარირებაში და განათავსოს გამოცალკავებული ნარჩენების შესაბამის კონტეინერებში, 13% ნაკლებად არის მზად, მხოლოდ 8 % არ არის მზად ნარჩენების სეპარირებისათვის.

აქვე აღსანიშნავია, რომ ნარჩენების მართვის ინტეგრირებული მართვის პროექტი ითვალისწინებს ნარჩენების დამახარისხებელი საწარმოს შექმნას ახალ რეგიონულ ნაგავსაყრელზე, რაც სხვა მიდგომებთან ერთად მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ნარჩენების სხვადასხვა ფრაქციებად გამოცალკავებას და შემდგომ გადამუშავებას.

#### ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პრობლემები:

- აუცილებლობას წარმოადგენს სხვა სახეობების ნარჩენების მუნიციპალურ დონეზე სეპარირებული შეგროვების უზრუნველყოფა, მაგალითად, მაკულატურის, ორგანული ნარჩენების, მიწის და ა.შ
- სეპარირებული ნარჩენების ადგილზე გადამუშავებისათვის არასაკმარისი პოტენციალი და ნარჩენების გადამამუშავებელი არსებული საწარმოების არასაკმარისი განვითარება.
- ნარჩენების დახარისხებისა და შეგროვების მეთოდების განვითარების არასაკმარისი დონე.
- ნარჩენების დამახარისხებელი ცენტრების ან ქარხნის არარსებობა იმერეთის რეგიონში
- ხარჯები სიდიდე, სეპარირებული ნარჩენების ქ.ქუთაისში ტრანსპორტირებისას.

### 2.5.1 ნარჩენების გადამუშავებით მიღებული სარგებელი, ნარჩენების მიმღები პუნქტები და გადამამუშავებელი საწარმოები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტთან ყველაზე ახლოს ნარჩენების მიმღები პუნქტები არსებობს ქალაქ ქუთაისში, რომლებიც ახორციელებენ ფიზიკური და იურიდიული პირებიდან დახარისხებული ნარჩენების მიღებას. კერძოდ, ეს პუნქტები ღებულობენ პლასტმასის, ქალაქისა და მუყაოს ,ლითონის ნარჩენებს. შეიძლება ვთქვათ, რომ პლასტმასის გარდა მუნიციპალიტეტში ნარჩენების სეპარირებული შეგროვება არ ხდება.

#### ნარჩენების გადამუშავებით მიღებული სარგებელი:

- ამცირებს ნიადაგში ნარჩენების მოხვედრის ალბათობას
- ინარჩუნებს ხის, წყლის, მინერალებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების მარაგს
- ხელს უშლის დაბინძურებას
- იზოგება ენერჯია
- მოსახლეობა თავისუფლდება დამატებითი ხარჯებისგან
- მომავალ თაობებს უნარჩუნდებათ ჯანსაღი გარემო

#### ნარჩენების გადამუშავებასთან დაკავშირებული ფაქტები:

- საოჯახო ნარჩენების 60%-ის გადამუშავება და ხელახალი გამოყენება შესაძლებელია
- გადამუშავებული მასალიდან შექმნილი პლასტმასა ინახავს იმ ენერჯიის 88%-ს, რომელიც საჭირო იყო გაზისა და ზეთისგან ახალი პლასტმასის დასამზადებლად
- ბიოდეგრადაციისათვის პლასტმასას დაახლოებით 500 წელი სჭირდება
- ერთი ტონა ქალაქის გადამუშავება ინარჩუნებს 17 ხეს, 25 000 ლიტრ წყალს, 3 კუბურ მეტრ ნაგავსაყრელს, ორ ბარელ ზეთს და 4 000 კილოვატ ელექტროენერჯიას

- გადამუშავებული ქალაქი იწვევს 73%-ით ნაკლებ ჰაერის დაბინძურებას, ვიდრე ნედლი მასალისგან დამზადებული ქალაქი
- მინისაგან დამზადებული ბოთლი ნიადაგში არ იშლება და რჩება სამუდამოდ
- მინა 100%-ით ექვემდებარება გადამუშავებას და შესაძლებელია მისი ხელახალი, ისევ და ისევ გამოყენება
- ტონაზე მეტი ნედლი ბუნებრივი რესურსი ინახება ყოველი ტონა გადამუშავებული მინის ხარჯზე

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი დადებითი მხარეებისა ქვეყანაში სუსტადაა განვითარებული ნარჩენების გადამამუშავებელი წარმოება. არსებობს მხოლოდ რამდენიმე მცირე საწარმო, რომელიც ნარჩენების გადამამუშავების ან გამოყენებით აწარმოებს პროდუქციას ადგილობრივი ბაზრისათვის.

## 2.6 დასუფთავების მოსაკრებელი და საჯარიმო სანქციები

ქუჩების დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება სახლებიდან, საჯარო დაწესებულებებიდან (მაგ.: სკოლებიდან) და ბაზრებიდან, აგრეთვე ნარჩენების საბოლოო განთავსება, არ არის უფასო მომსახურება. სახელმწიფომ და შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა შეიმუშავეს ე.წ. „დამაბინძურებელი იხდის“ პრინციპი, რომლის თანახმად, ნარჩენების წარმოქმნილი იხდის შეგროვებისა და განთავსების ხარჯებს. ოჯახებში წარმოქმნილ ნარჩენებს აგროვებს მუნიციპალიტეტი, ხოლო „ნარჩენების მოსაკრებელს“ არეგულირებს კანონმდებლობა.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი ნარჩენებს აგროვებს კერძო კომპანიებისგანაც, თუ მათ მიერ წარმოქმნილი ნარჩენები შემადგენლობით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია. კომპანიებისთვის განკუთვნილ გადასახადს არეგულირებს კანონმდებლობა.

დღესდღეობით, მოსახლეობიდან და კომპანიებიდან ამოღებული მოსაკრებელი ვერ ფარავს გაწეული მომსახურების ხარჯების, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მოსაკრებლის ამოღება სრულად ვერ ხორციელდება. გარდა ამისა, დღეს არსებული სისტემა არ ითვალისწინებს ხარჯების მოსალოდნელ ზრდას, რაც რეგიონალური ნაგავსაყრელების ახალი სისტემის დანერგვასთან არის დაკავშირებული. უფრო მეტიც, დღევანდელი სისტემა არ ითვალისწინებს ხარჯების დაზოგვას, რაც შესაძლებელია ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსებისგან თავის არიდებით. ამის მიზეზი მარტივად არის ის, რომ დღეს ნარჩენების მთელი რაოდენობა თავსდება ნაგავსაყრელებზე, უფრო სწორედ, „იყრება“ სათანადო დაცვის არმქონე ადგილებში. დღეს ეს შეიძლება „უფასო“ ჩანდეს, ვინაიდან გათვალისწინებული არ არის სამომავლო ხარჯები, რაც დაკავშირებულია ტერიტორიის დასუფთავებასთან და გარემოსთვის მიყენებული ზიანის შემცირებასთან (როგორცაა, მიწისქვეშა (სასმელი) წყლების დაბინძურება).

საქართველოში მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავებისთვის დაწესებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის (ტარიფის) ოდენობის დადგენა მუნიციპალიტეტის კომპეტენცია(მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საბჭოს – საკრებულოს მიერ, ზედა ზღვარი კი დადგენილია ეროვნული კანონმდებლობით). მოსაკრებელი გადაიხდება თვეში ერთხელ და ძირითადად განისაზღვრება ერთ სულ მოსახლეზე, ხოლო კომპანიების შემთხვევაში – დაკავებული ფართის ან წარმოქმნილი ნარჩენების ოდენობის მიხედვით. მოსახლეობა მოსაკრებელს იხდის მხოლოდ მომსახურების არსებობის შემთხვევაში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მოსაკრებელი ოდენობას არეგულირებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება

**#16.რომელიც მირებული იქნა 2015 წლის 6 აპრილს.სარეგისტრაციო კოდი 210020010.35.128.016217.**

დადგენილების მიხედვით, მოსაკრებლის გადამხდელები არიან ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის განისაზღვრა:

ა) მოსაკრებლის ოდენობა ფიზიკური პირებისათვის 0.5 ლარი ერთ სულზე;

ბ) იურიდიული პირებისათვის ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე-15 ლარი;

გ) დაბა ხარაგაულში და კიცხის ბაზრის ტერიტორიაზე განთავსებულ კაფე-ბარებში, რესტორანში, სასადილოში, პიცერიაში დასუფთავების მოსაკრებელი ერთ დასაჯდომ ადგილზე თვეში განისაზღვრა 0.5 ლარის ოდენობით.

დ) საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გზის თბილისი-სენაკი-ლესელიძის (უბისა-რიკოთის 143-173 კმ გზის) მონაკვეთზე განთავსებული კაფე, ბარში, რესტორანში, სასადილოში, პიცერიაში დასუფთავების ყოველთვიური მოსაკრებლის ოდენობა 1 მ3 განისაზღვრა 25 ლარით.

### **2.6.1 სანქციები და ჯარიმები,**

გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმების დაკისრება ხდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, თუმცა ასეთი ჯარიმების რეალურად დაკისრების თაობაზე მონაცემები არ არსებობს. უმეტეს შემთხვევებში არ ხდება მოსაკრებლის სრულად შეგროვება.

მუნიციპალიტეტების მიერ განსაზღვრული მუნიციპალური ნარჩენების მოსაკრებლის ოდენობა დაბალია და ის სრულად ვერ ფარავს ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, დამუშავების ხარჯებს. ნარჩენების შეგროვების და ტრანსპორტირების ღირებულების უდიდესი ნაწილი სუბსიდირებულია მუნიციპალიტეტების მიერ. შესაბამისად, ხარჯების ამოღების სისტემა ნარჩენების მართვის სფეროში გაუმჯობესებას საჭიროებს.

გამოწვევები:

- ადეკვატური სატარიფო პოლიტიკის არარსებობა, რომელიც უზრუნველყოფდა ნარჩენების

შეგროვების მომსახურების გაუმჯობესებას


- ხარჯების ამოღების ეფექტიანი მექანიზმის არარსებობა (როგორც მოსახლეობის, ასევე

კომპანიების შემთხვევაში)

- მოსაკრებლის დაბალი ოდენობა

- მოსაკრებლის არასრული შეგროვება

2.5.2 ნარჩენების მართვის დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.



თავი III ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სტრატეგია.

### 3.1 მომავლის ხედვა.

საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული სუფთა და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების უზრუნველყოფა ნარჩენების მართვის თანამედროვე პოლიტიკაზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვითა და ხელშეწყობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტში.

აღნიშნული მიღწევა შესაძლებელი იქნება ეტაპობრივად, ნარჩენების მართვის იერარქიის მოთხოვნების რეალიზაციის გზით.

პირველ ეტაპზე, რომელიც მოიცავს 2018-2022 წლებს, განსაზღვრულია შემდეგი მაჩვენებლების (ინდიკატორების) მიღწევა:


- ნარჩენების წყაროზე წარმოქმნის 20%-ით შემცირება.
- ნარჩენების სეპარირების დანრგვა;
- პლასტიკის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების გაზრდა 50%-ით;
- ნაგავსაყრელზე გასატანი ნარჩენების შემცირება არანაკლებ 20 %-ით;
- ნარჩენების გადამამუშავებელი სექტორის განვითარების ხელშეწყობა;



# რატომ ჭირდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ნარჩენების გადამუშავება



რომელი წლისთვის დაიშლება სრულად თქვენ მიერ დღეს გადაგდებული ნაგავი?



წყარო: [www.coop.ge](http://www.coop.ge)



„ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობა ნარჩენების მართვის სფეროში განისაზღვრა ორი მნიშვნელოვანი ფუნქციით:

- მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი სისტემის დანერგვა;
- ნარჩენების აღდგენის სისტემების შექმნა (რაც გულისხმობს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემების დანერგვას).

- 

ასევე მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გატარებას.

ამდენად, დასახული იქნა შემდეგი სტრატეგიული მიზნები, რომელთა მიღწევა აუცილებელია 2018-2022 წლებში.

ახალი რეგიონალური ნაგავსაყრელის ამოქმედების შემდეგ, ნაგავსაყრელამდე მისასვლელი მანძილი საგრძნობლად გაიზრდება. შესაბამისად, გაიზრდება ნაგავსაყრელამდე ნარჩენების მიტანის ხარჯები, რასაც მოჰყვება ნარჩენების არალეგალური გადაყრა ან მუნიციპალური კონტეინერების ზედმეტად გადავსება. მოსახლეობისთვის მისაღები ალტერნატივის უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტი შეიმუშავებს რამდენიმე ვარიანტს, რათა გააუმჯობესოს შეგროვების მომსახურება:

- მიმღები პუნქტი: სპეციალური ადგილი, სადაც შესაძლებელია ნარჩენების მიტანა. აღნიშნული პუნქტი აღჭურვილი იქნება სხვადასხვა ტიპის ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერებით, რაც დამოკიდებულია რეციკლირებისა თუ საბოლოო განთავსების ვარიანტებზე. ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი.
- არჩევითი ვარიანტი საჭიროების შემთხვევაში: ჩვენს მუნიციპალიტეტში, „მიმღებ პუნქტად“ შეიძლება გამოყენებულ იქნას სატრანსფერო სადგური, თუმცა აღნიშნული უნდა შეთანხმდეს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან“.

- (მცირე მოსაკრებლის სანაცვლოდ) სამშენებლო ნარჩენების კონტეინერის გამოყოფა მხოლოდ მოსახლეობისადთვის და არა კომპანიებისთვის.
- გაზაფხულსა და შემოდგომაზე, როცა მოსალოდნელია ბაღის ნარჩენების დიდი რაოდენობა, შემოვლითი რაუნდების ორგანიზება მათ შესაგროვებლად. ბაღის ნარჩენები (ნასხლავი, ტოტები, შემა და ა.შ.) დაქუცმაცდება, ან კომპოსტად გადაიქცევა.

ასეთი პუნქტების წასახალისებლად, ნარჩენების მოტანა შესაძლებელი უნდა იყოს გადასახადის გარეშე და ყველა ხარჯი უნდა აისახოს დასუფთავების მოსაკრებელში. ამიტომ, მიმღები პუნქტის გამოყენება შეეძლება მხოლოდ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

გეგმის მოქმედების განმავლობაში, მუნიციპალიტეტი შეისწავლის თუ რა სახის თანამშრომლობა შეიძლება დამყარდეს მეზობელ მუნიციპალიტეტებთან. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გამახვილდება საგანგებო სიტუაციებზე (მწყობრიდან გამოსული შემგროვებელი ტექნიკა), მომსახურების გაზიარებასა და სატრანსპორტო საშუალებების რემონტზე.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი განიხილავს ინერტული ნარჩენების ერთობლივი ნაგავსაყრელის მშენებლობას, ხოლო სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, შეისწავლის ინერტული ნარჩენების რეციკლირების ვარიანტებს.

ნარჩენების მართვის კოდექსი ითვალისწინებს სეპარირებული შეგროვების დანერგვას. გეგმის ფარგლებში შემოთავაზებულია სეპარირებული შეგროვების სისტემა (იხ. XX თავი). აღნიშნული სისტემის საბოლოო სახე განხილულ იქნება რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტთან. ამასთან ერთად შეთანხმდება სისტემა, რომელიც რეციკლირებადი მასალების გაყიდვას შეუწყობს ხელს.

უკვე ნახსენებ თემებთან ერთად, მეზობელი მუნიციპალიტეტების თანამშრომლობა შეეხება ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შეგროვებასა და რეციკლირებას; აგრეთვე საჯარო ცნობიერების ამაღლების საკითხებს.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა მომზადდა ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად - ყველა დაინტერესებულ მხარესთან და მეზობელ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის შედეგად. დაინტერესებულ მხარეებთან და მეზობელ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანი იქნება გეგმის განხორციელების კუთხითაც.

### 3.2 მოსაკრებლის სისტემის გაუმჯობესება

ნარჩენების მართვის გეგმის მოქმედების განმავლობაში, მუნიციპალიტეტი შეიმუშავებს სისტემას, რომელიც განსაზღვრავს მოსაკრებელს კერძო პირებისა და კომპანიებისთვის (ტურიზმის სექტორის ჩათვლით). მთავარი სახელმძღვანელო პრინციპებია:


- „დამაბინძურებელი იხდის“ პრინციპი ვრცელდება როგორც მოსახლეობაზე, ისე კომპანიებზე;
- მოსახლეობის შემთხვევაში, მოსაკრებელი ეფუძნება ერთ სულ მოსახლეზე ნარჩენების წარმოქმნის მაჩვენებელს, რათა თავიდან იქნას აცილებული საინვესტიციო ხარჯების ცალკეულ პირზე გადაჭარბებით დაკისრება;
- შეგროვების სისტემა დაბალანსებულია მომსახურების მაღალ ხარისხსა და შეგროვების მაჩვენებელს შორის. ამასთანავე არის პრაქტიკული და ხარჯ ეფექტური, გამოყენებული აღჭურვილობის თვალსაზრისით.
- მოსაკრებლისგან გათავისუფლებულია ის თემი, რომელსაც მუნიციპალური მომსახურება არ მიეწოდება;
- მოსაკრებელი არ დაეკისრება სოციალურ მინიმუმზე დაბლა მყოფ ოჯახს (კანონით გათვალისწინებული წესების შესაბამისად); ამისათვის

მუნიციპალიტეტი სახელმწიფოსგან მოიძიებს ფინანსურ მხარდაჭერას, ან მოსაკრებლისგან გათავისუფლებული ოჯახის ხარჯები, აისახება დანარჩენი მოსახლეობის მომსახურების მოსაკრებელში;

- უნდა დაინერგოს მეორადი მასალების სეპარირებული შეგროვება, კომპოსტირება და ნარჩენების პრევენციის ღონისძიებები, რის შედეგადაც შემცირდება ნაგავსაყრელზე საბოლოო განთავსების ხარჯები;
- მუნიციპალური მომსახურების გამოყენების ნაცვლად, კომპანიებს მოუწევთ ნარჩენების შეგროვება-გატანის თაობაზე, კონტრაქტი გააფორმონ ავტორიზირებულ კომპანიებთან. გამონაკლისი შეიძლება დაწესდეს იმ მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის, რომლებიც სახიფათო ნარჩენებს არ წარმოქმნიან (სავარაუდოდ, სახიფათო ნარჩენების წარმომქმნელები არიან მანქანის სახელოსნოები, ბენზინგასამართი სადგურები, ქიმიკატების კომპანიები და ა.შ.);
- სასტუმროებსა და სხვა ტურისტულ ობიექტებს ასევე მოუწევთ, მუნიციპალური მომსახურების გამოყენების ნაცვლად, ნარჩენების შეგროვებისა და გატანის შესახებ, კონტრაქტი გააფორმონ ავტორიზირებულ კომპანიებთან. გამონაკლისის დაშვება აქაც შეიძლება მცირე ზომის საოჯახო სასტუმროებისთვის. მათ შეუძლიათ მუნიციპალური მომსახურებით სარგებლობა, თუმცა მოსაკრებელი დაერიცხებათ საწოლების რაოდენობით მიხედვით, იმ ალბათობით, რომ საწოლების 50% მთელი წლის განმავლობაში არის დაკავებული.

### **3.3 ნარჩენების მართვის იერარქია.**

საქართველოში ნარჩენების მართვის პოლიტიკა და ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობა ეფუძნება ნარჩენების მართვის იერარქიას, რომელიც ასევე გამოყენებული იქნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.



ნახ. ნარჩენების მართვის იერარქია.

ნარჩენების მართვის სტრატეგიები ნარჩენების იერარქიაში განლაგებულია იმის მიხედვით, თუ რამდენად სასურველია მათი გამოყენება. ნარჩენების მართვის იერარქიის მიზანია მაქსიმალური პრაქტიკული სარგებელი მიიღოს პროდუქტებისაგან და მინიმალური ოდენობით წარმოქმნას ნარჩენები.

ნარჩენების იერარქია წარმოდგენილია გადაბრუნებული პირამიდის სახით. ნარჩენების მართვის პოლიტიკა ძირითადად ფოკუსირებულია ნარჩენების წარმოქმნის პრევენციაზე ან თავიდან აცილებაზე. შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ნარჩენების წარმოქმნის შემცირება. რეციკლირება (ანუ გადამუშავება), მათ შორის კომპოსტირება, წარმოადგენს შემდეგ მნიშვნელოვან ნაბიჯს. ნაკლებად სასურველ ქმედებას წარმოადგენს მასალისა და ენერჯის აღდგენა. ენერჯის აღდგენისათვის გამოიყენება ნარჩენების წვა.

ბოლო ნაბიჯს წარმოადგენს ნარჩენების განთავსება ნაგავსაყრელებზე, რაც გამოყენებული უნდა იქნას იმ ნარჩენების მიმართ, რომელთა პრევენცია, ხელმეორედ გამოყენება, გადამუშავება ან აღდგენა არ მოხერხდა წინა ეტაპზე.

### 3.4 დემოკრატიული პრინციპი-დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა.

ხარაგაულის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გამოყენებული იქნა ისეთი დემოკრატიული პრინციპები, როგორცაა

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლობისა და მოქალაქეების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობისა და მართვის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. ასევე მოსახლეობის ჩართვა და მასთან თანამშრომლობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ნარჩენების მართვის ყველა ეტაპზე მოქალაქეთა მონაწილეობის და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავების ყველა ეტაპზე ჩართული იყო დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 19 პიროვნებამ. კერძოდ, ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებთან ერთად აღნიშნულ პროცესში ჩართული იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებების, გარემოსდაცვითი სტრუქტურების, ბიზნესის და მასმედიის წარმომადგენლები.

უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაო ჯგუფი აქტიურად იყო ჩართული სამოქმედო გეგმის შემუშავების ყველა ეტაპში. მათი უშუალო მონაწილეობით განხორციელდა როგორც არსებული პრობლემების იდენტიფიკაცია, ისე მომავლის ხედვისა და პრიორიტეტების ჩამოყალიბება.

სამუშაო ჯგუფის მუშაობისას გამოიკვეთა ძლიერი და სუსტი მხარეები .

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის **SWOT ანალიზი**.

SWOT ანალიზი იძლევა მუნიციპალური ნარჩენების მართვის არსებული სისტემის შიგა ფაქტორების ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის საშუალებას, გარე ფაქტორების შესაძლებლობებისა და საფრთხეების გათვალისწინებით. სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობით შემუშავებული იქნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში

ნარჩენების მართვის არსებული სისტემის ანალიზი ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების განსაზღვრის გზით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ძლიერ მხარეებს შორის აღსანიშნავია:

- ნარჩენების მართვის სისტემის სრულყოფა წარმოადგენს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტს;
- მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შესაბამისი სამსახური-აიპ „ხარაგაულდასუფთავება“ რომელიც ახორციელებს ნარჩენების მართვის მომსახურებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;
- ნარჩენების მართვის დაფინანსების მზარდი დინამიკა ადგილობრივ ბიუჯეტში;
- მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ტექნიკური აღჭურვილობა;
- პლასტიკის ნარჩენების დახარისხებული შეგროვებისათვის ტექნიკური აღჭურვილობის არსებობა (სპეც.კონტეინერები).

სუსტ მხარეებს შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- საკმარისად არ არის შესწავლილი ნარჩენების წარმოქმნის წყაროები და ნაკადები;
- სტიქიური ნაგავსაყრელების არსებობა მიუდგომელ ტერიტორიებზე;
- არასაკმარისი ბუნკერების რაოდენობა;
- არ ხორციელდება სახიფათო ნარჩენების მართვა;
- არ არსებობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაკრებლის ამორება ფიზიკური პირებიდან;
- არ არსებობს ცხოველთა ნარჩენების შესაბამისი უტილიზაციის საშუალებები;



- ვერ ხერხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დახარისხებული პლასტიკის ნარჩენების რეალიზაცია;

საქართველოში არსებობს გარე ფაქტორების შესაძლებლობების საკმაოდ დიდი ბაზა,რომელიც მნიშვნელოვნად გააძლიერებს ნარჩენების მართვის სისტემას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.კერძოდ გარე ფაქტორების შესაძლებლობებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- „ნარჩენების მართვის კოდექსის“არსებობა,რომელიც განსაზღვრავს ძირითად მიდგომებს ნარჩენების მართვის მიმართ,როგორც სახელმწიფოებრივ,ისე მუნიციპალურ დონეზე;
- ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება,რომელშიც განსაზღვრულია საქართველოს ვალდებულებები ნარჩენების მართვის მიმართულებით,რომელიც ასევე განსაზღვრავს ნარჩენების მართვის სფეროში ევროკავშირის გამოცდილების გაზიარების საშუალებას;
- ახალი რეგიონალური ნაგავსაყრელის მშენებლობა;
- ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა;
- კერძო სექტორის ხელშეწყობა ნარჩენების მართვისა და გადამუშავების პროცესებში ჩართვისათვის.
- არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩართვა გარემოს დაცვის,ნარჩენების მართვის ,მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირების საქმიანობაში.
- სასწავლო დაწესებულებების ჩართვა ნარჩენების მართვის,დახარისხების საქმიანობაში.

ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესების საქმეში მეტად მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ საფრთხეები, რომელთა გათვალისწინება და მათი გავლენის შემცირება ერთ-ერთ განსაკუთრებულ როლს თამაშობს. უნდა აღინიშნოს შემდეგი საფრთხეები, რომელთა გამოვლენა არის მოსალოდნელი:

- „ნარჩენების მართვის კოდექსის“ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებისა და გამოცემის ვადების დარღვევა;
- კერძო ბიზნესის არასაკმარისი ინტერესი და უნდობლობა ნარჩენების გადამუშავების მიმართ;
- სეპარირებული ნარჩენებისათვის ბაზრის არარსებობა ან სეპარირებულ ნარჩენებზე მოთხოვნილებების შემცირება;
- მოსახლეობის დაბალი გარემოსადაცვითი თვითსეგნება და დაბალი მოტივაცია ნარჩენების დახარისხებაში აქტიური მონაწილეობისათვის;

### 3.5 სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.

2018-2022 წლების ხარაგაულის მუნიციპალური ნარჩენების სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული მიზნებია:

- მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ორგანიზების გაუმჯობესება და სრულყოფა;
- ნარჩენების მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა;
- არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვის უზრუნველყოფა,
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და ნარჩენების მარტვის სრულყოფაში ჩართვა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის შედგენაში მონაწილე სამუშაო ჯგუფის მიერ განისაზღვრა ამოცანები და მათი მიღწევის ღონისძიებები, რაც მოყვანილია ცხრილში:

ამოცანა 1	ხარაგაულის მუნიციპლის ტერიტორიის დასუფთავების ეფექტურობის ამაღლება
ლონისძიებები	„მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების და დამუშავების წესის“ ახალი დოკუმენტის შემუშავება და საკრებულოს მიერ დამტკიცება
	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების შესწავლა, ასევე მათი წყაროების და სეზონური ცვლილებების გათვალისწინებით.
	კონტეინერების სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება
ამოცანა 2	დასუფთავების ინვენტარის განახლება
ლონისძიებები	დამატებითი კონტეინერების შეძენა (ასევე მცირე ზომის ურნების შეძენა)
	სპეციალური დანიშნულების ტექნიკის შეძენა (სარწყავი მანქანა, დამგველი მანქანა)
	სამრეცხაოს მშენებლობა, კონტეინერების რეცხვის გრაფიკი, სპეციალური ტანსაცმლის შეძენა
ამოცანა 3	სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა და ნარჩენებით გარემოს დაბინძურების აღკვეთა
	არსებული სტიქ. ნაგავსაყრელების გაწმენდა, მათი გაკულტურება (იგულისხმება მათ ადგილზე მცირე ზომის სკვერების მოწყობა, დაიდგმება მოსასვენებელი სკამები და განათება, ასევე დაირგვება ნარგავები)

ღონისძიებები	ნარჩენებით გარემოს დაბინძურებაზე კონტროლი
	ნარჩენების შემკრები კონტეინერების დადგმა ან დამატება არასანქცირებული ნაგავსაყრელების წარმოქმნის ადგილებში.
ამოცანა 4	პლასტიკის სეპარირებული შეგროვების არეალის გაზრდა
ღონისძიებები	პლასტიკის შემკრები ბუნკერების რაოდენობის გაზრდა
	ნარჩენების საწყობის ორგანიზება
	შეგროვებული პლასტიკის მიმღები პუნქტისათვის მიწოდება(რეალიზაცია)
ამოცანა 4	ნარჩენების კომპოსტირების პროპაგანდა
ღონისძიებები	კომპოსტირების შესახებ მოსახლეობისათვის ბუკლეტებისა და ბროშურების დამზადება
	კომპოსტირების საპილოტე პროგრამის შექმნა. ასევე ნარჩენების ინდივიდუალური კომპოსტირების წახალისება
	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ფოთლების კომპოსტირების უზრუნველყოფა და მიღებული პროდუქტის გამოყენება მწვანე ობიექტისათვის.

ამოცანები	პრობლემები	განხორციელებულ ი ღონისძიებები	შედე გი	მიღწე ვს	დაფინანსე ბის წყარო
-----------	------------	----------------------------------	------------	-------------	------------------------

				ვადა	
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მონაცემთა მართვის სისტემის(მონაცემების შეგროვება, ანგარიშგება და მონაცემთა ბაზა) ჩამოყალიბება 2018 წლისათვის	ინფორმაციის არარსებობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით(არ არის ინფორმაცია სახიფათო, სამედიცინო და სხვა ტიპის ნარჩენების შესახებ)	მუნიცი-ში ნარჩენების აღრიცხვაზე და შესაბამისი ბაზის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა.			

--	--	--	--	--	--

**3.5 მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და ნარჩენების მართვის სრულყოფაში ჩართვა.**

გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თითოეული მოქალაქის გარემოსდაცვით თვითშეგნებას. მოსახლეობის გათვითცნობიერებისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლებისათვის საჭიროა გამოყენებული იქნას ყველა ხელმისაწვდომი საშუალებები, განხორციელდეს ეკოლოგიური განათლების პროგრამები ასაკობრივი და ინტერესთა ჯგუფების მიხედვით. მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია მასმედიას მაღალკვალიფიციურ დონეზე მიწოდებული ინფორმაციით.

მოსახლეობაში ეკოლოგიური კულტურისა და თვითშეგნების ჩამოყალიბება ხანგძლივი პროცესია. განსაკუთრებული როლი ეკისრება სასწავლო დაწესებულებებს, კერძოდ, სკოლებსა და სკოლამდელი ასაკის დაწესებულებებს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ფეისბუქ და ვებ გვერდზე მოხდება მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საჯარო განხილვა-პრეზენტაციის შესახებ.

მოვიძიებთ მასალებს, ბოლო წლების განმავლობაში, მყარი ნარჩენების მართვის კუთხით, რა გაკეთდა და რა მასშტაბის ღონისძიებები ჩატარდა საქართველოში. მომზადდება მოკლე ვიდეო-სიუჟეტი ამასთან დაკავშირებით, რაც ჩვენი რესურსებით სავსებით შესაძლებელია. სიუჟეტში ნარჩენები იქნება ასევე, ის თუ, რის გაკეთებას გეგმავს მომავალში მყარი ნარჩენების კომპანია. სიუჟეტიდან ამოვკრებთ მთავარ გზავნილებს, რომელსაც დავიტანთ ბუკლეტებზე, შესაბამისად დავბეჭდავთ ბუკლეტებს, რომლებსაც დავარიგებთ საჯარო განხილვის დაწყებამდე.

რაც შეეხება პირველ საჯარო განხილვას, ის შესაძლოა ჩატარდეს ხარაგაულის კულტურისა და დასვენების პარკის ღია ესტრადაზე (600-მდე ადამიანი). ასაკობრივი სეგმენტი იქნება განსაზღვრული (18-60 წწ), რათა არ გამოიწვიოს ქაოსი და შევინარჩუნოთ ყურადღება მოსახლეობის კარგად ინფორმირებისთვის.

მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ინფორმირება ბავშვის ადრეული ასაკიდანვე უნდა ხდებოდეს, ამიტომ პრეზენტაციები აუცილებლად მოეწყობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლაში. პრეზენტაციას და საჯარო განხილვების ჩავატრება მოხდება ასევე, ხარაგაულის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სულ ასეთი 20 ერთეულია ხარაგაულში 78 სოფლით.

ყოველივე ზემოთქმულის განსახორციელებლად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად დაგვჭირდება თანხა (500 ლარი), რომლითაც უნდა ვუზრუნველყოთ ბუკლეტების დაბეჭდვა და ტრანსპორტირება.

რაც შეეხება გაშუქებას, ჩატარებული საჯარო განხილვა-პრეზენტაციის გაშუქება მოხდება ადგილობრივ მედია საშუალებებში, ესაა გაზეთი „ახალი ხარაგაული“ და დამოუკიდებელი პრესა „ჩემი იმერეთი“. ინფორმაციები განთავსდება ვებ გვერდ [www.kharagauli.ge](http://www.kharagauli.ge) და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ფეისბუქ გვერდზე. ინფორმაცია განთავსდება ასევე, იმ მედია საშუალებებსა და სააგენტოებზე, რომლებთანაც ვთანამშრომლობთ.

საჯარო განხილვაზე მოწვეული იქნებიან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ხარაგაულის ა(ა)იპ-ების დირექტორები, ხარაგაულში არსებული კვების ობიექტების მეპატრონეები და სხვა ორგანიზაციის თანამშრომლები.

პრეზენტაციას საპატიო სტუმრის სტატუსით დაესწრებიან ხარაგაულის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები, რადგან ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათ მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა მეტ მოტივაციას შესძენს თითოეულ თანამშრომელს. 2016 წელს გამოკითხვის შედეგად, ხარაგაული, იმერეთის მასშტაბით, ყველაზე სუფთა მუნიციპალიტეტად დასახელდა. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება მოხდეს სამსახურის დასაჩუქრება სპეციალური დიპლომით და სიმბოლური საჩუქრებით. ყოველივე ამის შემდეგ მათ მყარი ნარჩენების მართვის კუთხით შრომისუნარიანობა გაუორმაგდებათ.

ამოცანა 1	ნარჩენების მართვის საკითხებზე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება
	ტრენინგ-სემინარების ორგანიზება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის, ასევე საინფორმაციო ბუკლეტების დარიგება, მეთოდური ლიტერატურის მომზადება და დაბეჭვდა



ლონისძიებები	ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომების შესახებ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის.
	საგანმანათლებლო ეკოლოგიური პროგრამების შექმნა და განხორციელება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის.
	ახალგაზრდების და მოსწავლეთა მონაწილეობით ეკოლიმპიადების, ტურების, შეჯიბრებების ორგანიზება
ამოცანა 2	გარემოსდაცვით ღონისძიებებში მოქალაქეთა მონაწილეობა.
	დასუფთავების აქციების ორგანიზება.
ლონისძიებები	საერთაშორის გარემოსდაცვითი დღეების აღნიშვნა.
	გამწვანების დღეების ჩატარება.
	ადგილობრივი მნიშვნელობის გარემოსდაცვითი დღეების დაწესება.

### 3.6 ხარჯების ამოღება.

ნარჩენების წარმომქმნელი კომპანიები ვალდებული არიან დააფინანსონ ნარჩენების გადამუშავება. თუმცა გასულ წლებში არსებული სუსტი ეკონომიკური მდგომარეობა/კომპანიების სტატუსი, სამართლებრივი აქტების ნაკლებობა და

აღსრულების დაბალი დონე ნარჩენების მართვის სფეროში, ასევე, პრობლემური წვდომა სესხებზე, წარმოადგენს კომპანიების მხრიდან დაბალი საინვესტიციო აქტივობის მიზეზს ნარჩენების მართვის სფეროში.


გამოწვევები:

- ადეკვატური სატარიფო პოლიტიკის არარსებობა, რომელიც უზრუნველყოფდა ნარჩენების შეგროვების მომსახურების გაუმჯობესებას;
- ხარჯების ამოღების ეფექტიანი მექანიზმის არარსებობა (როგორც მოსახლეობის, ასევე კომპანიების შემთხვევაში);
- მოსაკრებლის დაბალი ოდენობა;
- მოსაკრებლის არასრული შეგროვება;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებასა და გადახდას არეგულირებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება.

2018 წლიდან იგეგმება ფიზიკურ პირებიდან გადასახადის ამოღება, რომელიც შეადგენს ერთ სულ მოსახლეზე 0.50 თეთრს.

ცხრილი #8. დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება იურიდიული პირებიდან.



სამომავლოდ, ახალი ნაგავსაყრელის ფუნქციონირებაში გაშვებასთან დაკავშირებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში აუცილებელი იქნება ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სატარიფო სისტემის სრულყოფა და ახალი მოსაკრებლის შემოღება. კერძოდ, ხარაგაულის ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში გაკეთებულია ტარიფების შემდეგი 5 წლის პროგნოზი.

